



უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების ყოველთვიური გამოცემა

სოციალური მედიის უსაფრთხოდ გამოყენების ძირითადი რჩევები

მიმოხილვა

სოციალური მედიის საიტები (Snapchat, Facebook, Twitter, Instagram and LinkedIn), მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადამიანების გაცნობის, ურთიერთობის და ინფორმაციის გაზიარების საოცარი საშუალებებია. თუმცა, ამ ყველაფერს თან ახლავს რისკიც, არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ თქვენი ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის და დამსაქმებლისთვისაც. ამ გამოცემაში ჩვენ გაგაცნობთ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგათ სოციალური ქსელებით უსაფრთხოდ და დაცულად სარგებლობისთვის.

დაპოსტვა (ინფორმაციის გამოქვეყნება)

გამოიჩინეთ სიფრთხილე და დაფიქრდით სანამ დაპოსტავთ. ყველაფერი რასაც აქვეყნებთ, მაღალი ალბათობით დროთა განმავლობაში საჯარო გახდება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენ რეპუტაციაზე და მომავალზე (მაგ. სად ისწავლით ან იმუშავებთ მომავალში). თუ თქვენ არ გსურთ, რომ თქვენი პოსტი ოჯახმა და დამსაქმებელმა ნახოს, მაშინ ალბათ აჯობებს თავი შეიკავოთ მისი გამოქვეყნებისგან. ასევე ყურადსაღებია ისიც, თუ რას პოსტავენ თქვენ შესახებ სხვები. შეიძლება დაგჭირდეთ მათთვის თქვენთან დაკავშირებული პოსტების წაშლის თხოვნა.

კონფიდენციალურობა

თითქმის ყველა სოციალური მედიის საიტს გააჩნია კონფიდენციალურობის დაცვის ძლიერი მექანიზმები. გირჩევთ გამოიყენოთ ისინი, სადაც კი შესაძლებელია. მაგალითად, ნამდვილად აუცილებელია, რომ ამა თუ იმ საიტმა იცოდეს თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია? ასევე, იქონიეთ მხედველობაში, რომ კონფიდენციალურობის დამცავი მექანიზმები და ვარიანტები შეიძლება დამაბნეველი იყოს და ხშირად იცვლებოდეს. გამოიმუშავეთ ჩვევა, რომ პერიოდულად შეამოწმოთ და დარწმუნდეთ, რომ აღნიშნული მექანიზმები მუშაობენ ისე, როგორც თქვენ მოელოდით.

პას-ფრაზები

უზრუნველყავით თქვენი სოციალური ქსელის ანგარიშის უსაფრთხოება გრძელი და უნიკალური პას-ფრაზის გამოყენებით. პას-ფრაზა არის პაროლი, რომელიც შედგება რამდენიმე სიტყვისგან. აღნიშნული თქვენ გაძლევთ საშუალებას მარტივად დაიმახსოვროთ

დაბლოკეთ თქვენი ანგარიში

უმჯობესია, გაააქტიუოთ ორ დონიანი აუტენტიფიკაციის ფუნქცია თქვენს ყველა ანგარიშზე. შესაბამისად,



ანგარიშში შესვლისას პაროლთან ერთად საჭირო გახდება ერთჯერადი კოდის მითითებაც. ეს ერთერთი ყველაზე მარტივი და ძლიერი მეთოდია თქვენი ანგარიშის დასაცავად.

თაღლითობა

კიბერ თაღლითები ეცდებიან თქვენს მოტყუებას არამართო ელ. ფოსტის გამოყენებით, არამედ სოციალური მედიის შეტყობინებებითაც. მაგალითად, ეცდებიან მოტყუებით გამოგართვან თქვენი პაროლი ან საკრედიტო ბარათის მონაცემები. ფრთხილად იყავით: თუ მეგობარი გიგზავნით უცნაურ შეტყობინებას ან ტექსტი არ ჰგავს მის ხელწერას, ეს შეიძლება იყოს კიბერ შემტევი და ცდილობდეს თავის გასაღებას თქვენს მეგობრად.

მომსახურების პირობები

გაეცანით საიტების მომსახურების პირობებს. ყველაფერი რასაც დაპოსტავთ ან ატვირთავთ, შეიძლება გახდეს საიტის საკუთრება.

სამსახური

თუ თქვენ გასურთ დაპოსტოთ რაიმე ცნობა თქვენი სამსახურის შესახებ, უმჯობესია წინასწარ გაარკვიოთ ხელმძღვანელთან დაშვებულია თუ არა ამ ცნობის გამოქვეყნება.

გაითვალისწინეთ ეს რჩევები და ისიამოვნეთ უფრო დაცული და უსაფრთხო ონლაინ სერვისებით. გაეცანით თქვენი სოციალური მედიის უსაფრთხოების რჩევების გვერდს, რათა გაიგოთ როგორ გამოიყენოთ სოციალური მედიის საიტი უსაფრთხოდ ან გაარკვიოთ არაავტორიზებული აქტივობის შეტყობინების გზები.

მოწვეული რედაქტორი

ჯესიკა ბარკერი კიბერ უსაფრთხოების ადამიანურ ასპექტებში მსოფლიო ლიდერია. იგი [Redacted Firm](#)-ის თანადამფუძნებელია. ჯესიკას კლიენტები, რომლებიც მისგან საკონსულტაციო მომსახურებას იღებენ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობენ. იგი ასევე კარგად ცნობილი ორატორია. მიყევით ჯესიკას ტვიტერზე [@drjessicabarker](#).



რესურსები

- Passphrases: <https://www.sans.org/u/B6E>
- Two-Step Verification: <https://www.sans.org/u/B6J>
- Securing Today's Online Kids: <https://www.sans.org/u/B6O>
- Lock Down Your Login: <https://www.lockdownyourlogin.org/>

ლიცენზია

OUCH! გამოიცემა SANS Securing The Human-ის მიერ და ვრცელდება [Creative Commons BY-NC-ND 4.0 license](#). ლიცენზიით. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად გაავრცელოთ ეს გამოცემა ან გამოიყენოთ თქვენი ცნობიერების ამაღლების კამპანიის პროგრამის ფარგლებში იმ პირობით რომ არ შეცვლით მას. თარგმანთან დაკავშირებით და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაგვეკონტაქტოთ შემდეგ მისამართზე: www.sans.org/security-awareness/ouch-newsletter. სარედაქციო საბჭო: Walt Scrivens, Phil Hoffman, Bob Rudis, Cheril Conley | თარგმანი: გიორგი გურგენიძე, გიორგი გოგიშვილი

